

ახალგაზრდული ორგანიზაცია “Art Way”
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მონოპიესები

2014-2015
(კრებული)



გამომცემლობა „კენტაური“
თბილისი
2015

სათადარიგო ლიანდაგი

დრამატურგი - ლილე შენგელია

რეჟისორი - ლაშა შერთია

მსახიობი - მანანა ბურდული

ახალგაზრდა დამწყები და უკვე წარმატებული დრამატურგის მონობიესა სურვიულ ისტერიკაშიღე მისული ახალგაზრდა ქალის მამის ძიების დაუდეგარ სურვილის ეძივნება, რომელიც მოვონებებსა და ოცნებებში გლინდება. თუკი ჩვენს საზოგადოებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დედის და დედის კულტი უშიშენელოვანესი ფასეულობაა, ლილე შენგელია საერთო მამის ხატის ძიების საკითხს აყენებს თავის მონობიესაში, რომელიც არანაკლებ დრამატული, მტანჯველი და სულიერი ტრამპების გამომწვევია. ადამიანების ერთმანეთთან გაუცხოების, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული პროცესისა და ვირტუალური სამყაროს ეპოქაში, აქტუალურია ადამიანური ურთერთობების, ოჯახური იდელიის პრობლემა. ოჯახის კრიზისი (მშობელთა განქორწინება, მშობლების დაჯიუბვა) აჩენს ბავშვის, მოზარდის და ზრდასრულის ფსიქიკაში დიდ ნაპრაღს, რომელსაც ბევრი ვერ უძლებს და ამ ნაპრაღში იჩენება.

მოქმედი პირი:

ახალგაზრდა ქალი

(ოთახის ინტერიერი, ახალგაზრდა ქალი შემოდის ოთახში, ქურთუკს იხდის, ჩანთიდან წამლის ყუთს იღებს და კითხულობს, სკამზე ჩამოჯდება, რამდენიმე წუთის შემდეგ დგება, გადის კულისში. რამდენიმე წამში შემთაქვს წყლიანი ჭიქა, წამალს სვამს. აღებს კარადას, სადაც ლურჯი ნაჭერი კიდაა, უყურებს. მონოლოგის დროს იღებს ამ ნაჭერს და ისევ კიდეებს, ეს ქმედებაშიძლება რამდენიმეჯერ განმეორდეს).

ახალგაზრდა ქალი – მამა,შენ ხომ სათვალეებს ატარებდი...(იღებს ტელეფონს , რეკავს,რადაცას ბუტბუტებს,რამდენიმე წამის შემდეგ ტელეფონს აუღელვებლად დებს მაგიდაზე).

დაუსრულებელ რიგში ვიდექით და შენი სახელის გაგონებას გელოდებოდით. გახუნებული დღე იყო. ჩამოჯექი-მეთქი გითხარი და შენც უსიტყვოდ დამემორჩილე. იმ დღის შემდეგ ერთად არასდროს

ყოფილგვართ. შენთან ურთიერთობაც გახუნდა ამწყობში და მეშინია, სამუდამოდ არ დაგკარგო. (პაუზა). ფეხები დამძიმდა, დაღლილობა შემატყვევ, გამდიმე, როგორ მინდოდა კალთაში ჩაგხტომიდი, რატომ არ გაგვითე ის, რაც მაშინ ძალიან მინდოდა? ამ ყველაფერს გახუნებულ დღეს ვაბრალებდი (ამოსისუნთქავს); მარტივი გამოსავლია გადაბრალება. გუშინ კარადიდან შენი ჯინსისქურთუკი გამოვიდე, როგორი გემოვნებიანია, ანლაც სიამოვნებით მოიხმარდა კაცი, ვიფიქრე, გადავაკეთებ- მეოქი, მაგრამ ვერ გაგებდე. ლურჯი, ვერცხლისფერი ღილებით... თაფლისფერი თვალები და ლურჯი ქურთუკი. ექთანმა სიაში ამოვიკითხა. წამოდექი, დახმარებაზე უარი მითხარი და ისევ მოვიტოვეთ უკან ღიანდაგივით დაუსრულებელი რიგი, თითქოს ბირველები ჩვენ ვიყავით. ვერაფერს ვგრძნობდი, ცუდზე არც კი მიფიქრია. სიმშვიდიდან ქაოსში აგდმოხნდი. იმ დღის შემდეგ შიში შემოიჭრა ჩემში და სამუდამო ბინადარიც გახდა. მეგობრები ვიყავით, მაგრამ დიდი რიდის გამო, მეგობრობა ყოველთვის ჩიხში ექცეოდა. არ ვიცი ვისი ან რისი ბრალი იყო? იქნებ ასაკის? (პაუზა) გული მწყდება. კაბინეტში ისე ციოდა, როგორც თეთრხალათიანი ქალის სახეზე. თქვენს ანალიზებს გადავხედე, სასწარფოდ თებერაცია უნდა გავაკეთოთ-თქვა ექმმა. მაშა რა მოუვიდა მაშინ შენს თვალებს? რა მოუვიდა მაშინ შენს თვალებს? რა მოუვიდა... (პაუზა) დილის სუსხმა გამაღვიძა, იატაკზე ქურთუკში გახეულის ჩამძინებია. არ ვიცოდი ამ მდგომარეობაში ვისთვის მესაყვედურა. ალბათ, საკუთარი თავისთვის და იცი რატომ? იმიტომ, რომ ყოველთვის გაურბოდი მას. თითქოს ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა გაერთიანდა, რამდენიმე წამში კიგადაბმული ჯაჭვით გაემგზავრა კოსმოსისკენ. ვიცოდი, ეს ენერგეტიკა უარყოფითად დამიბრუნდებოდა. ექთანმა შემატყობინა, რომ მდგომარეობა დამძიმდა... თებერაცია მთელი ღამე გაგრძელდა. რამდენიმეჯერ გაგებდე შენთან სამსახურში მისვლა. ლიფტით არ ამოვდიოდი, კიბეებით დროს ვაგრძელებდი და ვფიქრობდი, ცუდ ხასიათზე, რომ დამხედროდი, ან დაკავებული რომ ყოფილიყავი... ყველაფერი რამდენიმე დღიანი განშორებით დამთავრდებოდა... ამჯერად გამიმართლა. კაბინეტში მაგიდის კუთხესთან დამსვი და ცარიელი ფურცლები მომიცე- დახატეო. დაგნატო? არ მინდოდა და ვიტყუებოდი, რომ თითქოს გამიტაცა ხატვამ, თითქმის ყველა შემომსვლელს თვალს ვაპარებდი, ვაკვირდებოდი, ისინიც მაკვირდებოდნენ. ალბათ, არ იცოდნენ შვილი რომ გყავდა, ან იცოდნენ და უკვირდით ამხელა არსება ფერადი

ფანქრებით, ფურცლებს რატომ ვაფერადებდი. ტელეფონი აიღე, მდივანს სთხოვე, რომ საჭმელად წაგყვანე, არადა, საერთოდ არ მშიოდა, მაგრამ ხმა არ ამომომიღია. ამხელა გოგო მდივანს რატომ უნდა წაგყვანე საჭმელად? რატომ გამასხენდა ეს დღე? არ ვიცი... შენთან ყოფნა ძალიან მინდოდა ... (ჩუმად) ვერაფრით ვერ გავიგე რა ხდება?... თბერაცია დასრულდა (პაუზა). არ მინდა ჩვენც დავსრულდეთ... ამ ბიჭს გვერდით ოთახში ძინავს. ისეთი ცხოველური სექსი ქონდა, რომ სხეულზე ვერაფერი შემნიშნა; ჟინი დაიკმაყოფილა თუ არა გადაბრუნდა. რა ჯობს არ ვიცი? ადრე სექსი განტვირთვა იყო, იმ დღის შემდეგ კი... არ ვიცი... იცი, კარგიც ხდება, ხო, ხდება. რა ხდება? კარგი ის ხდება, რომ ცისფერი თვალები მინდა მქონდეს, სურვილი გამიჩნდა, რატომ გამიჩნდა? იმიტომ (პაუზა), იმიტომ, რომ შენ დაგემსგავსო... ახლა მატარებლის ლინდაგვიფთავა ჩემი საშო, სწორედ ეს გახდა მისთვის გამაგალი გზა გულამდე. გესმის, სწორედ ეს. აივნიდან ვუყურებხალხის მოძრაობას. მოუჩვენებლობას გადაჩვეული ხალხის. ისინი დაუფიქრებლად წარმოთქვამენ ფრაზას- „მიჩვენება ყველაფერით“ ...

(ჩუმად) ოთახი. სიბინძურე. სხეული. სიცვიე. ქუჩა. ბაბაჭუა. გადახლართულობა...

(თითქმის გული ერევა).

ვხედავ, აი, იქ, ქუჩის ბოლოში, ბილიკზე ქალი გამოჩნდა, ამ ქალს დიდი ძუძუს თავები აქვს, ეტყობა შეცივდა და უფრო გამოიკვეთა მაისურმა. რამოდენიმე ადამიანი ჩაუარა გვერდით, ერთმა გაუსწრო, მოხუცმა, რომელსაც ხელი ამოწვდილი ქონდა ჰაერზე, მხერა გააყოლა, მოძრავე მანქანებიდან ორმა დაუბინა. ალბათ მიჩვენულია. (დარწმუნებით) მართალია, ესე იქნება. მეც ხომ მიგვიჩვი ბევრ რამეს გულიმერევა... შეუძლებელია, შეუძლებელია აქ ცხოვრება. ხედავ, ქუჩა გაქრა, ადამიანებიც, შენობებიც და მანქანებიც. სად წავიდნენ? ნუთუ შენობებსაც შეუძლიათ მოძრაობა? ეს რა არის? ბაბაჭუა? კი, ბაბაჭუა გამოჩნდა. არა, ერთი წუთით (პაუზა) შენ ხარ! (პაუზა) არა, ბაბაჭუა. მამა, იცნობ მავ ქალს? თქვენ რა, ცეკვაო? ბაბაჭუა არ დაჯდე. მამა, როგორ გიხდება ცეკვა, მე ხომ არასდროს მიყურებია შენთვის ცეკვის დროს. ვხედავ , ვხედავ, რომ ორივე მე მქსოვით... ის ქალი, რომელსაც პატარა მკერდზე დიდი ძუძუს თავები აქვს და შენ... (ჩუმად) ლიანდაგს გაგს თქვენი ნაქსოვი... ამ ამბის მოსაყოლად მოგედი შენთან სამსახურში და არ მიმიღე, მინდოდა მეოქვა, რომ

ვიცოდი როგორ ჩაუსახე ჩემი თავი დედის სხეულს და კიდევ ის, რომ აღმოვაჩინე ვინც ხარ. შენ ხომ 57 წელია ეძებ შენს თავს, და აი, მე გაბოვე, მე. მე... მე! იმ უშედეგო ღამის შემდეგ აიფინიდან დაგინახე. როგორ მინდოდა მეთქვა... (პაუზა) სულ გაგიყინე, ქუჩაში ისევ მოძრაობა დაიწყეს მანქანებმა, ისევ გაჩნდნენ შენობები- გესმის? ისევ თავიდან დაიწყო. ღიანდაგი გულამდე მხოლოდ...ხომ, კარგი ვიცი გული რომ ვახსენო დამცინებენ, მაშინ ღიანდაგი მე ღვიძლამდე მიმიყვანს... ვერ ვქსოვ, თუ ვეღარ მოვქსოვ, თუ, აღარ უნდა მოვქსოვო. არ ვიცი, ეს რისი ბრალია, რამდენი რამე არ ვიცი? საერთოდ რა ვიცი. ყოველი დღე ერთმანეთს გავს. თითქოს, არფერი ხდება, სულ უკმაყოფილო შეიძლება ვიყო? მაგიტომაც გამომიშვა იმ ბიჭმა. დიახაც, ერთი აუტანელი ვინმე ვარ. არადა, რამდენი რამ ხდება, გონებაში, წამის მუასედებში, ეს ყველაფერი გამოვიფოგო (იცინის), დიდი გამოუმტნელებელი ვარ. (ისტერიულად იცინის).

მე და მამა ხომ ყოველდღე ერთად ვიყავით. მართალია, არ ვმეგობრობდით, არც თაფლისფერი თვალები ქონია და არც ძალიან მაღალი იყო. ახლა სიმართლეს ვიტყვი - ცისფერი თვალები, საშუალო სიმაღლის, დაგერცხლილი თმა, გამხდარი, გრძელი ცხვირი; ლურჯი ქურთუკი არა, მაგრამ ლურჯი პალტო ნამდილად ქონდა. მისი კაბინეტი ტყე იყო, კიდევ ერთი კაბინეტი ქონდა სახელად - მდინარე. ნადირობა, თევზაობა... წავიდა (პაუზა), მერამდენედ წავიდა სანადიროდ და არ გამადგოდა, არ წამიყვანა. ალბათ, უკვე მოკლა ფრინველი. არ ვიცი რომელი, მაგრამ გადმოიღო თავისი ორღუღიანი თოფი და ბახ.. ბახ.. ეე, საცოდავი არსება. თუმცა მაშინ ისე მინდოდა ნადირობა, რომ მოვეკლავდი, კიდევაც გაგზუტავდი, გავასუფთავებდი, შევწავავდი და გემრიელადაც შევჭამდი. (ჩუმად) ეს აუსრულებელი სურვილები. ვეღარ ვიტან თევზს, მისი სუნიც კი მაღიზიანებს, არ მოვალ სადილზე და შენც კარგად იცი რატომაც. ერთხელ, როგორ არ წამიყვანე სათევზაოდ... შევალ ჩემს ოთახში და ბევრ თევზს დაგხატავ. გაგზრზდი. (იცინის) ვის გაგზრზავდი? არ ვიცი, ალბათ, საკუთარ თავს. რატომ არ წამოგყევი იმ დღეს სათევზაოდ? რატომ დაგინახე სახლში, საკერავ მანქანასთან. როგორ საზიზღრად ყმუის ის ძაღლი, რაღაც უნდა მოხდეს, თუ ძაღლი ყმუის უბედურება მოხდება. (იცვლის ხმას) აუუუ... აუუ... აუუუუ... შენი ლუჯი ბეწვი გამოვიღე კარადიდან, ხომ არ გეწყინება, რომ ჩავიცვამ?... იატაკზე გამედგოდა, არა, ეს იატაკი არ არის. ეს ქინქრის ბაღია. უკაცრავად, აქ რა მინდა?

ვის ვეკითხები? (პაუზა) იქნებ ... (რამდენიმე წამი სიჩუმეა)... რატომ ვდგავარ, წაგალ... ამას მოფიქრება ხომ უნდა... დიდი აუტანელი ვარ-მეთქი, ხომ ვამბობდი, ახლა ვამტკიცებ, რომ ნამდვილად ასეა. სურას უკაცრავად, ადგილიდან ვერ ვიძვრი. ქვემოთ დავისედე, სულ მწვანე ვარ, უი, ჭინჭარი ვყოფილვარ, ახლა მართლა გავვიყვდები. ჭინჭარიც კი ტლანქი აღვმოჩნდი. ამას არ დავეძებდი, დაცინვას კიდევ აიტანდა მე-ჭინჭარი, მაგრამ ყველაზე აუტანელი ის იყო, რომ ვიწვოდი და თან მთელი სხეული მესუსხებოდა. თუ ეს ბუნებრივია, თუ ჭინჭარი ვარ, რატომ მესუსხებოდა სხეული?!... ტემპერატურა მატულობს, ცოტა ხანში სუნთქვა შეუძლებელი იქნება. როგორც კი ფიქრი დავიწყე სხეულის კიდურები გამომეკვეთა, უფრო დავძაბე გონება, მაგრამ რა? ძაღლის ყმოელი შემომესმა... იმ დღის შემდეგ მამაჩემი აღარ მინახავს. წყალში დაიხრჩო... არ უნდა გამომეყო ღურჯი ბაღტო, მას ეკუთვნოდა... ვერ იტყვი, რომ უგემოვნოა, მაგრამ ახლა ამას არაგინ ჩაიცვამს. არ უნდა შემეკერა. რას ვაკრავდი? იქნებ გამახსენდეს... (პაუზა) უნდა გამოგვყოლოდი, მაგრამ ჩვენ ყველანი ჯიუტები ვართ. როგორ მინდა თაფლისფერი თვალები მქონდეს.(ჩუმად) სურვილი ხომ სურვილად დარჩა ...მთელი სხეული დაფოთილილი მაქვს, გვერდოვსუნთქვა, (ხმაბლალა ხგნეშის) ეს ხომ გადაგვარებაა... (ინდის მასისურს) ჭადრის ფოთოლს მიგავს სხეული. იმ ბიჭმა კი ვერაფერი შენიშნა. მისთვის მთავარი არის?!...მასბავშობიდან უნდოდა ჩემთან ერთად ყოფნა, ეს კი შორეული წარსულია. რა თქმა უნდა,არ ვუყვარდი... როგორც შექმლო, პატივს ყოველთვის მცემდა. აი, მაგალითად მესმარებოდა კეცზე ტალახის მჭადების გამოცხობაში. არ გმკმსავდი იმ დღეს, იმ ბიჭის შესახვედრად მდინარის პირას წავედი. შემინოდა ვინმეს არ დავეჩხე... მაშვიდედბდა. ცხენით გამასეინრა. (თითქოს იხსენებს) ჩამოხედა. იცი, აქ სადღაც მამაჩემი თეწაობს,რომ დამინახოს? იცი, მერე რა მოხდება? მერე რა, რომ დიდი ვარ... არაგინ არ დავინახავსო-მიიხრა და ცხენიდან ჩამომიყვანა. ჩამესუტა, მერე მომეფერა, ვერ შეამჩნია ჩემს სხეულზე გამონაყარი. იქნებ კარგიც არის, თორემ შემდეგ შესგედრის სურვილი არ გაუჩნდებოდა. ვითომ? აუცილებლად მოუნდებოდა! მე ხომ ლიანდაგი ვარ! (პაუზა) რა თვითდაჯერებული ქალი ვარ... მართლ უნდა წავიდე, ვინმემ რომ დავგინახოს? დიდინთი გავუყვი სახლისკენ მამავალ გზას. ცოტა რომ გავიარე მივხვდი, ვიდაცის ჩრდილი მომყვებოდა, ავუჩქარე ნაბიჯს, აუჩქარა, კიდევ ავუჩქარე, იმანაც აუჩქარა. მეტის ღირსი ვარ, რა დროს პაემანი იყო...

უცებ მოვტრიალდი, წინ ადამიანის მსგავსი არსება იდგა. ძალია მოვიგრიბე და ვაგრძნობინე, რომ მისი არ მეშინოდა. საოცარი ხმა ამოუშვა გაბანჯგულულ სახიდან, რადგან პირი არ უჩანდა. (ქალი ხმას იცვლის) მივიკე თუ გიკიკე... გაიმი, დავიბეინი. გერაფერი გაგიგე, რა გინდა ჩემგან? ის კი წრეს მივლიდა და თავისას გაიძახოდა: მივიკე თუ გიკიკე, გიკიკე თუ მივიკე. მგონია, რომ ერთია, უცებ მეორეც, ის ნამდვილად ქალი იყო, რომელსაც შედარებით წვრილი ხმა ჰქონდა. მე მივიკე -უთხრა მოსულმა. ბოხხმინი დაფიქრდა, დაიდრიალაგაუგებარი სიტყვა, ხელებით თმა გადაიწია და დაიხარა. ქალი, ანუ შედარებით წვრილხმიანი, მივიდა და ზურგზე შემოახტა. კაცის სახე მეცნო, ეს ხომ მაშაჩეშია. მინდოდა მეთქვა-მამა, აქ რა გინდა? შენ ხომ სათევზაოდ წახვედი? მაგრამ შიშით ხმას ვერ ვიღებდი. გზას გაუდგენ. ქალი ნელ-ნელა იზრდებოდა, ფორმას იცვლიდა, კაცი ნელ-ნელა მიწაში იძარცვებოდა. როგორც ლუსმანი. მე გნედავდი როგორ ვიქმნებოდი, უცნაური ფორმით გადაეხლართნენ ერთმანეთს ჯერ მამა, ხოლო შემდეგ წვრილ ხმიანი ქალი, ანუ დედაჩემი და ჩაემგნენ მიწაში. მიწიდან კი ჭინჭარი ამოვიდა. გამოვიქეცი, სუნთქვა შეკრული მივრბოდი, მამა უნდა ვნახო, მამა უნდა ვნახო, უკვე სახლში იქნება, დაასრულებდა თევზაობას, მოვრბივარ, არ ვჩერდები, არც გზა ჩერდება, ისიც ჩემთან ერთად მორბის, უნდა უთხრა მამას რომ ჭინკაა, რომ ეგონა 62 წელი მეზადური იყო, რომ ეგონა 62 წელი მონადირე იყო, ტყუილია. ის მე ვიცი, ის მე ვიბოვე -ჭინკაა. მივადწიე სახლამდე. მამაააა, მამაააა... მამა აღარ არის... (ჩუმად) ვერ მოვასწარი... ვერ მოვისწარი... იატაკზე ღურჯ პალტოში გახვეული ვარ, არაფერი ხდება? როგორ არ ხდება? აბა რა ხდება? ეკონომიკურად წელში გაიმართა ქვეყანა. არცერთი სოციალურად დაუცველი ოჯახი აღარ არის. მე რაღაცებს ვიტყუებოდი ხომ? ანუ, უფლება მაქვს... ჯანდაცვის საკითხი მოგვარებულია, დაზღვეულია მთელი ქვეყანა. რა კარგია, კანის ოპერაციას უფასოდ გაგიკეთებ. ჩემმა მეგობარმა რეჟისორმა კანის ფესტივალზე პალმის რტო მიიღო, მთელი კულტურის სამინისტრო იქ არის. სოფლის მეურნეობის მინისტრად ახალგაზრდა ქალი დაუნიშნავთ, ეშველება სოფლებს. კიდევ, რაფიცი, რა აღარ ხდება. მსოფლიო ჩემპიონატის ტურნირში ჩვენი გუნდი ჯგუფიდან გავიდა, სპორტის მოყვარულები ვარაუდობენ, რომ ფეხბურთში საუკეთესო გუნდი გვყავს. ტრანსპორტით მგზავრობის საკითხიც მოუგვარებიათ, აღარ იქნება საცობები, ახალი გზები გაყავთ, ახალი ლინდაგები...

მე ჩემს მამაზე გესაუბრებოდით. მას შავი თვალები აქვს, დაბალი და პუტკუნაა, პროფესიით სტომატოლოგია. იცით, როგორ მინდ გესაუბრო? დღეს აუცილებლად მომისმენს. არა, მამაჩემს ხომ ჭაობის ფერი თვალები აქვს. ძალიან გამხდარიაო ვერ იტყვი, დღე და ღამე მუშაობს, ის გზაეთის რედაქტორია. მის რედაქციაში უმაღლესი დონის ჯურნალისტები მუშაობენ, მნიშვნელოვან თემებზე წერენ სტატიებს, ხარისხზე აღარ ვსაუბრობ. არა, მას მწვანე თვალებიაქვს და 73 წლის ასაკშიც უსათფალოდ კითხულობს წიგნებს, მერე რა, რომ დაღუევა უყვარს, პროფესია ქონდა ისეთი, რომ უნდა დაეღობა. დღეში მინიმუმ სამი საფლავის გათხრა უწევდა.(კარზე კაკუნია) ვინ უნდა იყოს . (ნაჭერში გახვეული ქალი დგება და აღებს კარს, ისმის ხმა. რამდენიმე წამში ბრუნდება ოთახში). წერილი მომიფიდა. გაგხსნა? ვინ უნდა იყოს? თუ არ გაგხსნი, ვერც გაფიგებ... ერთი, ორი, სამი... არა, (ჩასუნთქვა), ერთი, ორ... (სასწრაფოდ ხსნის, შეშდება, ხანგრძლივი პაუზა). იცო... რა?... ვინ?... როგორ?... ის ჩამოდის. ჩემი მამა ჩამოდის? მე მექნება მასთან საუბრის საშუალება, მე მეყოლება ოჯახი? ... ადამიანი, სულიერი არსება... რატომ მიხარია... რა მნიშვნელობა აქვს, წერილი ხომ ჩემი არ არის. მისამართი შეეშალათ... დაიწყეთ, (ქალი იცვლის ფიზიკურ მდგომარეობას) შენ ვერასდროს წარმოიდგენ როგორი მამა გყავდა. არა, არ დამტოვო, როგორი თბილი ხარ. ლიანდაგის მატარებელზე მგზავრი გამოჩნდა, მუცლიდან საშოსკენ მოდის, საშოდან ბარძაყებზე, ბარძაყებიდან ფეხებზე, ანლა ამ სიბოთმ ფეხის თითებამდე მიაღწია. რა თბილი ყოფილხარ, შვილო... როგორ ეკვრი სსეულის. არა, არ დაგიბან, სამუდამოდ დაგიტოვებ (შორიდან გაისმება სასწარფოს სირენის ხმა, ეხვევა ლურჯ ნაჭერში და ემბრიონის ფორმას იღებს). იცით, ერთი თვალი ცისფერი მაქვს, მეორე კი თაფლისფერი, ამის თქმაც მოგასწარი.

დასასრული

ლილე შენგელია